„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2024 * (7)100

მუნიციპალიტეტის საჯიებელო - მოსახლეობის ინტერესების სადარაჯოზე!

ბესიკ ბერიძე

(დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე)

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის სექტემბრამდე ჩაატარა საკრებულოს და ბიუროს 12 სხდომა, 9 გეგმიური და 3 რიგგარეშე, რომელმაც განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 50 საკითხი. როგორც სხდომაზე საკრებულოს წევრების დასწრების აქტივობა, ასევე დებატებში აზრის დაფიქსირებაში დეპუტატების ჩართულობა კი ყოველთვის თავისუფალი და საკმაოდ მაღალი იყო.

2024 წლის იანვრიდან დღემდე საკრებულომ გამოსცა 50 სამართლებრივი აქტი. მათ შორის: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოაქვეყნა 23 ნორმატიული აქტი (დადგენილება), გამოიცა 27 განკარგულება და 45 ბრძანება, დღემდე შემოსული და ერთიანი ელექტრონული წარმოების წესით დარეგისტრირებულია 86 სხვადასხვა წერილი (შიდა წერილები) თუ მომართვა. საკრებულოდან გასულია 229 პასუხი და მიმართვა.

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია. კერძოდ, იურიდიულ საკითხთა; საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის; გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიები. შექმნილია 2 ფრაქცია – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს და დასკვნებს. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს კომისიის დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 წევრი. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს კომისიების მიერ გაიმართა 13 სხდომა (ერთი პეტიციის).

კომისიის სხდომებზე სულ განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 54 საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო,“ რომლის შემადგენლობაში 22 წევრია, შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 10 სხდომა და განხილულ იქნა 16 საკითხი.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2024 წლის ბიუჯეტი თავდაპირველი რედაქციით ჯამურად შეადგენს 10209100 ლარს, რაც უპრეცედენტოდ გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 8 თვის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კვლავ გაიზარდა, რაც ძირითადად შემოსულობების და ტრანსფერების გათვალისწინებით განხორციელდა, ბიუჯეტის ზრდის ამგვარი ტენდენცია ცალსახად მოწმობს იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

მუდმივმოქმედი კომისიები აქტიურად მონაწილეობენ საკრებულოს მიერ მიღებულ გაწყვეტილებათა განხილვაში. ახორციელებენ სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ხარისხისა და ვადების დაცულობას; აქტიურად არიან ჩართულნი ფონდისა თუ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მონიტორინგში. კერძოდ, საკრებულოს დეპუტაციის მიერ მოწონებულ იქნა 2024 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი შემდეგი პროექტები:

ა) დაბა ასპინძაში გურამიშვილის ქუჩაზე მინი მოედნის მოწყობა. პროექტის სრული ღირებულება (ქვემოთ ყველგან საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) 172 390 ლარია; მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა 163 770 ლარია, ხოლო თანადაფინანსება – 8 620 ლარი;

ბ) სოფელ ივერიაში შიდა გზის რეაბილიტაცია – პროექტის სრული ღირებულება 774 558 ლარი; მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა – 735 830 ლარი; თანადაფინანსება – 38 728 ლარი;

გ) სოფელ რუსთავის შიდა გზების რეაბილიტაცია – პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 834 760 ლარს; მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხაა 793 022 ლარი, თანადაფინანსება – 41 738 ლარი;

დ) დაბა ასპინძაში რუსთაველის, ტაბიძის და თამარ მეფის ქუჩების რეაბილიტაცია – პროექტის სრული ღირებულება 615 997 ლარია; მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეადგენს 585 197 ლარს, თანადაფინანსება – 30 760 ლარს;

ე) სოფელ ოშორაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სრული ღირებულება 1 577 958 ლარია; მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხაა 1 499 060 ლარი, თანადაფინანსება- 78 898 ლარი;

ვ) მდ. ოთის წყალზე დ. ასპინძაში გაბიონების მოწყობის სამუშაოების სრული ღირებულება 205 428 ლარია, მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხაა 194 156 ლარი, თანადაფინანსება – 10 272 ლარი;

ზ) დაბა ასპინძაში, ჭავჭავაძის და მესხეთის ქუჩების რეაბილიტაციის სრული ღირებულება 1 261 390 ლარია, მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხაა 1 198 320 ლარი, თანადაფინანსება – 63 070 ლარი;

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის 2024 წლის ხარჯი შეადგენს 1030. 0 ათას ლარს.

ამჟამად მიმდინარეობს დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის სრული რეაბილიტაცია. კერძოდ: კეთდება ახალი ტროტუარები, ღობეები (მაცხოვრებლების შესავლელი ახალი ჭიშკრების/ალაყაფის კარებების დაყენებით) და სანიაღვრე არხები. ასევე, მიმდინარეობს მეფე ერეკლე II ქუჩის სრული რეაბილიტაციის მეორე ეტაპი – მოეწყობა ტროტუარები, სანიაღვრე არხები, ამჟამად გაკეთებულია ახალი ღობეები თავისი ალაყაფებით.

მიმდინარეობს ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის კაპიტალური რემონტი და სხვა მრავალი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ა(ა)იპ გარე განათების დაფინანსება შეადგენს 556.000 ათასი ლარს.

ამჟამად სოფელ რუსთავსა და ვარგავში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობითი სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 57 283 ლარს; მ.შ. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა 54 418 ლარია; მ.შ. თანადაფინანსება – 2 865 ლარი;

სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის ცენტრის დაფინანსება შეადგენს 260,0 ათას ლარს;

ბინათმშენებლობის ხარჯი

მუნიციპალიტეტის ბინათმშენებლობის ხარჯი შეადგენს 100.0 ათას ლარს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა *დაფინანსებულია 115,0 ათასი ლარით;*

გაგრძელება მე–3 გვ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

2. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ“;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხს: ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;

დეპუტატებმა საკითხები დაამტკიცეს, რის შემდეგაც გაეცნენ ინფორმაციას:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელში N95-დან N109-ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

2. „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 27 ივნისის N4332-XIV მს-X მპ დადგენილების „2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვის შესახებ და ანგარიშში იდენტიფიცირებული გამოწვევების დაძლევის მექანიზმების შემუშავება დადგენილების შესაბამისად.

3. „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების (საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივლისის N219 დადგენილებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე) განხილვის შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

23 აგვისტოს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:.

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

სხდომებს უძღვებოდა საკრებულის თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

სხდომას ესწრებოდა „მრავალეროვანი საქართველო''-ს წარმომადგენელი ასპინძაში მარიამ ბარძიმაძე.

მაკა ბერიძე

თმოგვს ახალი ბაღი აქვს

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თმოგვის ახალ აშენებულ ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გახსნისთვის სამზადისი აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე საბავშვო ბაღის შენობაში მიმდინარეობს ელექტრო-ტექნიკით, სათამაშოებით, ქსოვილის ნივთებით, დამცავი ჟალუზებით, სამზარეულოსთვის საჭირო ინვენტარით და საჭირო ავეჯით აღჭურვა. ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის შენობით ისარგებლებენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვები, ასევე სოფლების: ნაქალაქევის, ფიის, თმოგვისა და მირაშხნის აღსაზრდელები. ბავშვთა ტრანსპორტირებას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება უზრუნველყოფს.

თანამედროვე სტანდარტებით აშენებული ორსართულიანი საბავშვო ბაღი გათვლილია სამოც აღსაზრდელზე და დაკომპლექტებულია შესაბამისი პერსონალით. საბავშვო ბაღში მოეწყო ბავშვთა სააღმზრდელო და საძინებელი ოთახები, სველი წერტილები, დარბაზი, ექიმისა და პერსონალის ოთახები და საწყობი. კეთილმოეწყო აღსაზრდელებისთვის ეზო. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს სასწავლო პროცესის დაწყებისას დახვდებათ კომფორტული, ადაპტირებული და საუკეთესო გარემო.

სოფელ თმოგვის ახალ საბავშვო ბაღში ჩარიცხვის მსურველთა მშობლებმა განცხადება უნდა წარადგინონ გაერთიანების ადმინისტრაციაში შესაბამისი დოკუმენტაციით. მისამართი: ასპინძა, მეფე თამარის ქ. N3

გმირთა ხსოვნას მიეძღვნა

დაბა ასპინძის გართობისა და დასვენების სამკუთხა პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპული გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

აღნიშნული ცერემონიალის შემდეგ ამ დღისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ფარგლებში ერთჯერადი ფულადი დახმარება გადასცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომში დაღუპულთა 8 ოჯახს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლი ომისა და სამხედრო ძალების შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 9 ვეტერანს ასევე თითოეულს 1000-1000 ლარი.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მონაწილეობდნენ ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრის თანამშრომლები.

მემორიალი ყვავილებით შეამჯეს

ამავე დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ ზურაბაშვილმა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ასპინძის მუნიციპალური განყოფილების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხნის მკვიდრი ტარიელ ქამაშიძე გაიხსენეს და მისი სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან ტარიელ ქამაშიძის ოჯახის წევრები და სოფლის მოსახლეობაც იმყოფებოდა.

მოსალოდნელი სტიქიის ასაცილებლად

გლობალური დათბობის ეპოქაში არავინ არაა დაზღვეული სტიქიური უბედურებებისაგან. დღე არ გავა, რომ საინფორმაციო საშუალებმა საზოგადოებას არ აუწყონ მსოფლიოსა თუ ჩვენს ქვეყანაში კატასტროფიული მოვლენების შესახებ. ამიტომაცაა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებები სულ უფრო ინტენსიურ სამუშაოებს ატარებენ მოსალოდნელი სტიქიებით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

ამ მიმართულებით ასპინძის ადგილობრივი თვითმმართველობაც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს, რაც დიდად შეუწყობს ხელს მოსახლეობას თავიდან რომ იქნას აცილებული კატასტროფული შედეგები. კერძოდ,

ათ წელზე მეტია ადგილობრივი მნიშვნელობის მდინარეების კალაპოტებსა თუ საშიშ ზონებში ინტენსიურად მიმდინარეობს დამცავი გაბიონების სამშენებლო სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწების, ასევე შენობა-ნაგებობების დაცვის საქმეს.

მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ამჟამადაც მიმდინარეობს ამ მიმართებით გარკვეული სამუშაოები, კერძოდ, წლეულს პროექტის ფარგლებში გაბიონები მდინარე ოთისწყლის კალაპოტის გასწვრივ 6 ადგილზე გაკეთდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,მელიზა” ასრულებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 511 830 ლარს შეადგენს.



„ცოტნეობას“ მიეძღვნა

12 აგვისტოს, მართლმადიდებლური ეკლესია ქართველი წმინდანის, ცოტნე დადიანის ხსენების დღეს აღნიშნავს.

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში, კოხტას ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღონისძიება გაიმართა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას „ცოტნეობა“ მიულოცა, ასპინძის ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა კი პარაკლისი აღავლინა.

პარაკლისის დასრულების შემდეგ ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" საგალობელი და რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა შეასრულა.

„ცოტნეობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღეს, მართლმადიდებლური ეკლესია, 1999 წლიდან აღნიშნავს.

წარსულის ფურცლები

დროების ჯოჰესპონდენცია

ხიზაბავრა. 12 მაისს. წელს მსუბუქი ზამთარი გვქონდა. ბევრგან თოვლით არ იყო დაფარული ხნულები, ჯავახეთშიაც თხლად იყო თოვლი. როცა დიდი თოვლია, კარგი მოსავალი მოდის-ხოლმე, ხმელი სიცივები იყო საზოგადოდ, გაზაფხულიც ცივად წაგვივიდა; ქარმა დასთხარა რაც მაღლობებზედ ჯეჯილი გადარჩენოდა სიცივესა და სუსხსა. ამის გამო მაისის ჯეჯილები უწინდელ აპრილის ჯეჯილებსა გვანან: ხერთვისისა ხეობის ხილნარსა კი კარგი პირი უჩანს. იმედია ბარელები ხილით მაინც სარჩოს გაიჩენენ.

ზამთრით მოყოლებული დღემდის ალაგ-ალაგ სახადიც მუშაობს; ზოგს სამჯერ და ბევრსაც ოთხჯერ უბრუნდება და შეაქცევს ხოლმე. ვნება კი საიმისოდ არსად სოფლებში არ მიუცია, თითო ოროლას გარდა, ამ სენის უმთავრესი მიზეზი არის გლეხების დგომა თავლებში, ბინძური და უწმინდური, ჰაერი მეტადრე ჯავახეთში, სადაც წივების ქარხნები ხშირად გამრავლებულია! სოფლებში ნეხვი და ნაგავი კარ წინ უყრიათ, ქარი იშვიათად ხვდება იმ ადგილებს. სახადთან ერთად მყივანა ხველაც გახშირებულია და ბევრი ბავშვი შეიწირა.

ახალ ქალაქის მაზრის უფროსმა ა. სუმბატოვმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჯავახეთის სოფლებსა, ნაკელები სოფლის გარეთ გაატანინა.

როგორცა სჩანს საქმეებიდგან, ჩვენის ახალ ქალაქის მაზრის უფროსი კარგი ახალგაზრდა, ენერგიული კაცი უნდა იყოს, თითქმის ყველანი ემადლიერებიან, ამბობენ: უწინდელ მაზრის უფროსებს რომ გადაურჩით, ახლა აღარა გვიშავს-რაო, ნელ-ნელა თვალთ სინათლე მოგვეცა. იმედია ყოველს ჩვენს გაჭირვებაში ნუგეში არ მოგვაკლდებაო. მაგრამ მე ცოტა ვიჭვნეულობ, ისეთი სომხობა არის მის კანცელარიაში ფეხ შედგმული, რომ დიდი სიკეთე არა იქნება-რა, თუ ცვლილება არ მოხდება. სოფლის სომხის გლეხობა ხომ რაღაც მეტად მოუსვენარი ხალხი არის! ერთმანეთთან სოფლებს და მეზობლებს ჩხუბი, კამათი, კინკლაობა ეხალისებათ, არც მსაჯულსა აქვს მოსვენება და არცა რა მაზრის უფროსს. ჩვენის ქვეყნის ჰაერის შეცვლის მიზეზი უმთავრესად ტყის გაკაფვას უნდა დაბრალდეს. ჩვენი სამესხეთოს უზარმაზარი ტყის განადგურება მარტო მცხოვრებთაგან გაკაფვას არ უნდა მიეწეროს. ეს წარმოსდგა უფრო მალ-მალ შემოსეულ მტერთაგან. შემოსევის დროს ტყეები უწვიათ, ბაღჩა-ვენახები უკაფნიათ და ამ რიგად გატიალებულა ჩვენი ძვირფასი ტყე და ხილნარ-ვენახები. ეხლაც ჩვენ არა თუ ტყეებს ვამრავლებთ, არამედ საცა ბუჩქნარი მოიძევა, ძირიანად ვსთხრით და ვატიალებთ.

ახალ ქალაქის მაზრაში მეტის მეტი სივიწროვეა მამულებისა და ამიტომ ხშირად მოსდით ხოლმე ერთმანეთში სხვა-და-სხვა სოფლელებს უსიამოვნება. ასეთი ვიწროებისა და შეწუხების მიზეზი ჯავახეთში ჩაყენებულ სომხობის სიმრავლეა. დიდი სიკეთე იქმნება, რომ იმათ ერთად თავს მოუყრიდეს, ყარსისკენ გადაასახლებდნენ და ადგილობრივ მცხოვრებთ დაუთმობდნენ ისევ თავიანთ მამა-პაპის ადგილს.

ვინმე მესხი,

„დროება“, 1883 წელი, N95

ხეაბილიტირებული ეღები

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში დასრულდა კლუბის რეაბილიტაცია.

დასრულებული სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა და კომპანიის წარმომადგენლებმა ერთად ადგილზე დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში შენობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია: სახურავს, ფასადს, იატაკს, ინტერიერს და დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების ახალი სკამები.

აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ალმე" აწარმოებდა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 272 655 ლარს შეადგენს.

სამუშაოები დასრულდა

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში დასრულდა სკვერის სარეაბილიტაცია სამუშაოები. კერძოდ, მოეწყო რეკრეაციული სივრცე, ბილიკები, დეკორატიული ღობე, მოსასვენებელი სივრცეები, გარე განათების სისტემა და მოსაცდელი, მოხდა ტერიტორიის გამწვანება.

დასრულებული სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ და მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა დაათვალიერეს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ნუკია" აწარმოებდა.

ასპინძაში მარცვლეულის აღება დასასრულს უახლოვდება

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრადიციულად მარცვლეული კულტურების აღება იწყება ივლისის თვის მესამე დეკადიდან, რომელიც წელს წარმატებით წარიმართა ზონების მიხედვით. ალოობა სოფელ რუსთავში დაიწყო და ალპურ ზონაში არსებული მარცვლეულის ყანებით დამთავრდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023-2024 სამეურნეო წელს დაითესა 501 ჰა. ხორბალი, 400 ჰა. ქერი, 201 ჰა. შვრია, 10 ჰა. ჭვავი.

ამ დროისათვის (25 აგვისტოსათვის) აღებულია 501 ჰა. ხორბალი, რომლის საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 3,5 ტ/ჰა. სულ აღებული და დაბინავებულია 1754 ტ. ხორბალი. აგრეთვე 400 ჰა ქერი, რომლის საშუალო სა-ჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 2,5ტ. ამ ეტაპზე აღებული და დაბინავებულია 1000 ტონა ქერი. შვრია 201 ჰა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში შვრიას იღებს ძირითადად პირუტყვის გამოსაკვებად, ხოლო ნაწილს – სამარცვლედ, მისმა საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 2 ტ/ჰა-ზე. რაც შეეხება ჭვავს, იგი დათესილია 10ჰა-ზე (რომელიც ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ითესება ადგილ მდებარე ნიალაში). მოსავალს ახლო მომავალში აიღებენ.

მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება მიმდინარეობს ორგანიზებულად და მის აღებაში ჩართულია როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებული, ასევე სხვა მუნიციპალიტეტიდან შემოყვანილი კერძო კომბაინები.

აღსანიშნავია, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტში გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამით და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მხარდაჭერით დათესილი ხორბლის ჯიშის „ახალციხის წითელი დოლის“ მოსავალი წარმატებითაა აღებული 40ჰა-ზე, სადაც მოსვლიანობამ შეადგინა 2.5-3 ტ/ჰა-ზე.

ოლღა ბერიძე - ველიჯანაშვილი,

ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

მუნიციპალიტეტის საჯიებელო - მოსახლეობის ინტერესების სადარაჯოზე!

დასაწყისი გვ 1

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1405,7 ათასი ლარი (აქ შედის ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ სარაგბო კლუბ „ტაოსა და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის დაფინანსება, ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებუ-ლებათა გაერთიანება კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება, რელიგიის, ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება, კულტურის ობიექტების მშენებლობა და სხვა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 600,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ხელშეწყობას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 776,7 ათასი ლარით.

უფასო სასადილოების დაფინანსება შეადგენს 60.0 ათას ლარს;

სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა – 120.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული;

სოციალური დახმარებები – 340.0 ათასი ლარი;

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა „DKCGE“ ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროების, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება და სხვ. 174,7 ათასი ლარით დაფინანსდა;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები დაფინანსებულია 546,2 ათასი ლარით, კერძოდ:

«საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერმა განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა ასპინძის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ჩატარებულ საერთო კრებებსა და კონსულტაციებზე შერჩეული, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები. საკრებულომ დაამტკიცა შემდეგი პროექტები:

1. რუსთავის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და სარწყავი წყლის, წყალსატუმბი სადგურისთვის ტრანსფორმატორის შეძენა – 16000 ლარი;
2. იდუმალის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია – 12000 ლარი;
3. ოშორის გზისპირა მოსაცდელების მშენებლობა – 16000 ლარი;
4. დამალის გარე განათების მოწყობა – 20000 ლარი;
5. ივერიის საბავშვო სკვერის მოწყობა – 12000 ლარი;
6. ოთის შიდა სასოფლო გზების მოწყობა – 12000 ლარი;
7. ნიჯგორის გარე განათების მოწყობა – 12000 ლარი;
8. საროს სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია – 10000 ლარი;
9. ხიზაბავრის სარწყავი არხების რეაბილიტაცია – 16000 ლარი;
10. თოკის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 10000 ლარი;
11. ვარგავის სასმელი წყლის ქსელის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია – 10000 ლარი;
12. ჭობარეთის ტრენაჟორების მოწყობა – 12000 ლარი;
13. ძველის სარწყავი, სანიაღვრე არხების და წყაროს მოწყობა – 12000 ლარი;
14. ორგორის გარე განათების მოწყობა – 10000 ლარი;
15. საყუდაბლის გზის საყრდენი კედლის მოწყობა – 10000 ლარი;
16. აწყვიტის გარე განათების მოწყობა – 16000 ლარი;
17. ხერთვისის საბავშვო ატრაქციონის მოწყობა – 12000 ლარი;
18. ტოლოშის სპორტული ტრენაჟორების მოწყობა – 16000 ლარი;
19. გელსუნდის სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 10000 ლარი;

დასასრული მე–4 გვ.

მუნიციპალიტეტის საჯიებელო - მოსახლეობის ინტერესების სადარაჯოზე!

დასაწყისი გვ 3

20. ნაქალაქევის საბავშვო სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით – 16000 ლარი;

21. ფიის ხიდ -ბოგირებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა – 10000 ლარი;

22. თმოგვის სასმელი და სარწყავი წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია – 12000 ლარი;

23. მირაშხანის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია – 12000 ლარი (აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 588 000 ლარი).

ასევე, საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა მუნიციპალიტეტისათვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა თაობაზე ვრცელი ინფორმაციები გამოქვეყნებული იქნა გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ ფურცლებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკრებულოს წევრების მიერ სისტემატურად ხდება მოქალაქეთა მიღება, მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. აღნიშნული პროცესების დაფიქსირება ხდება საოქმო ჩანაწერებით, რამაც დეპუტატები ბენეფიციარებთან უფრო დააახლოვა. თუმცა მოსახლეობის ჩართულობა საკრებულოს სხდომებში აქტიურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ წერილობითი მომართვები სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე ხშირი იყო და კომპენტენციის ფარგლებში ნაწილდებოდა განსახილველად, ზოგიერთი წერილი, ქვემდებარეობიდან გამომდინარე, იგზავნებოდა მუნიციპალიტეტის მერიაში.

მოსახლეობასთან შეხვედრების დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს დეპუტაცია, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად, სისტემატურად მართავს შეხვედრებს დაბისა და სოფლის მოსახლეობასთან. ამომრჩევლებთან შეხვედრებზე გამოთქმული საკითხების ძირითადი უმრავლესობა ეხება ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მდგომარეობას, კერძოდ, სასმელი წყლის რეაბილიტაციას, სანიტრული ნორმების დაცვას (სასმელი წყლის დაქლორვის მდგომარეობას), სარწყავი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაობის მდგომარეობას იმ სოფლებში, სადაც ამის საჭიროება იდგა, სოფლად ბუნებრივი აირის შეყვანის მოთხოვნებს, ახალგაზრდების დასაქმებას, ნაგვის კონტეინერების განსაზღვრულ ვადებში დაცლა-გატანის საკითხებს, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჯანდაცვის დაფინანსებას, ასევე სოციალური დახმარების მოხსნა/დანიშვნის მოთხოვნებს და ა.შ.

გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შექმნილია ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო“. გენდერული საბჭო მუშაობას წარმართავს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, საბჭოს პირადად ვხელმძღვანელობ და დღენიადაგ ვზრუნავ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამ კუთხით იყოს სენსიტიურად მგრძნობიარე.

საკრებულოს გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის თვითშეფასების და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ექსპერტის მიერ ჩატარებული მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ანალიზთან. ეს უკანასკნელი კი ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე განათლების, კულტურის და სოციალური მიმართულებებით.

საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების, უწყებების წერილობითი მოთხოვნების საფუძველზე, კანონით დადგენილ ვადებში; საკრებულოს აპარატი საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებულ ყველა მასალას აქვეყნებს საკრებულოს სპეციალურად განთავსებულ სტენდზე.

მოსახლეობის ინფორმულობის მიზნით, როგორც აღინიშნა მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველთვიურად „ასპინძის სიახლენში“ აქვეყნებს ინფორმაციას საკრებულოს ყოველთვიურ გეგმიურ და რიგგარეშე სხდომებზე განხილული საკითხების გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ფეისბუკ გვერდზე“ აანონსებს ინფორმაციებს როგორც თვით საკრებულოს, ასევე ფრაქციების, კომისიების სხდომების დანიშვნისა და დღის წესრიგის თაობაზე. საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დოკუმენტაციას, დეპუტაციის ჩართულობას მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მოსახლეობასთან, ამომრჩევლებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების სამუშაოს დათვალიერების და სხვადასხვა სამუშაო პროცესების ამსახველ ფოტო მასალას.

ახლოვდება „შოთაობის“ სახალხო დღესასწაული. წლევანდელი „შოთაობის“ დღესასწაულიც წარმოდგენილი იქნება საბავშვო აქტივობებით, მრავალფეროვანი გასართობი თუ მუსიკალური ღონისძიებებით, მათ შორის, მოეწყობა გამოფენა-გაყიდვები და სპორტული ღონისძიებები. „შოთაობის“ დღესასწაულზე „საპატიო ასპინძელის“ წოდება მიენიჭებათ საზოგადოებისათვის საყვარელ და პატივსაცემ ადამიანებს.

დიდ ადამიანებს ყოფილვამთ:

„100 შავი და 100 წითელი ჭიანჭველა რომ მოვათავსოთ ქილაში, არაფერი მოხდება, მაგრამ თუ ამ ქილას ძლიერად შეანჯღრევთ, ჭიანჭველები დაიწყებენ ერთმანეთის ხოცვას. წითლები შავებს თავიანთ მტრებად მიიჩნევენ, ხოლო შავები წითლებს.

სინამდვილეში ნამდვილი მტერი ის არის, ვინც ამ ქილას ანჯღრევს.

ასე ხდება ადამიანებშიც.

ასე რომ, სანამ ადამიანები ერთმანეთს თავს დაესხმიან, უნდა იფიქრონ, ვინ ანჯღრევს ქილას?!“

ოტო ბისმარკი

„ლექსო, არ დაიკარგეო!“

რუსთაველის ნაკვალევზე

ჩემი დიდი ხნის ოცნება
არ გავუმხილე სხვასაო,
უნდა მენახა რუსთავი
კიდეც დავადექ გზასაო.
ავედი მინაძის ხიდიდან, –
გადავადექი მთასაო,
მოუთიბიათ ყანები
ეზიდებიან ძნასაო.
მივედი ქართული სალმით,
პირველად ვიღებ ხმასაო, –
ოჰ, გაგიმარჯოს ძმობილო,
როგორც საკუთარ ძმასაო.
ჩემი მიზანი გავაცან,
რაზე მივედი, რისთვისა,
ბევრი არ გავაზვიადე,
ნათელი იყო მათთვისა.
ბოლო ჯერობა მიჰქონდათ, –
სოფელში გამიყოლიეს,
მერე დავჯექით სუფრასთან
ნებით რომ დამიყოლიეს.
ქართული წესით დავლოცეთ
გმირი 800 წლისანი,
ვაქეთ, ვადიდეთ მოყვარე,
გაღმა-გამოღმა მთისანი.
გვიან დამთავრდა ლხინობა
მასპინძლის წამოწყებული,
წამოვიშალეთ ყველანი
ღვინისგან გახელებული.
აჰა, მივედით იქ, სადაც
ორი მდინარე ერთვისო,
სადაც ოდესღაც რუსთველი
თამარს სწვევია ხერთვისსო.
წარსულის მოწმედ დამდგარა
ციხე, ლომგულის სადარი,
რამდენი რისხვა უნახავს,
წვიმა, ქარი თუ ავდარი.
გზადაგზა ვათვალიერებ
იქნებ რუსთველი აქ არის,
მისი ნამყოფი ადგილი
მამაპაპათა ღადარის.
უტყვი ვარძიის კედლებთან
დავჩერებივარ სიძველეს,
ვხედავ, რა უშენებიათ
წარსულ ცხოვრების სიძნელეს.
კლდეში ნაკვეთი ქალაქი
რაღაც იდუმალს მაგონებს,
აქ წინაპარი ვერ ვნახე,
ალბათ ეს უფრო მაღონებს.

ავტორ-მთქმელი
ანტონ ბალახაშვილი,
88 წლის, ადიგენის რაიონის
სოფელი უდე

ხალხური რეცეპტი

სიმხნევის წამალი

გაარჩიეთ საშუალო ზომის 400 გრ. ნიორი, გარეცხეთ და გახეხეთ. გამოწურეთ 24 ცალი საშუალო ზომის ლიმონი და შეურიეთ ერთმანეთს. შემდეგ მოათავსეთ მინის ქილაში, კარგად მოუკარით მარლით თავი და ისე დატოვეთ. ჭამის წინ ყოველი მიღების წინ შეანჯღრიეთ და მიიღეთ 1 ჩ/კოვზი, რომელსაც წინასწარ გახსნით 1 ჩ/ჭიქა ანადუღარ წყალში. ერთი-ორი კვირის შემდეგ გაგიუმჯობესდებათ გუნება-განწყობილება, აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა, მოგეხსნებათ ძილის პრობლემა. გარდა ამისა, ნიორს გააჩნია ანტისკლეროზული და გამაკაჟებელი თვისებები.

***

200 გრამ ჭინჭრის თესლს დაასხით ერთი ლიტრა წითელი ღვინო, შეინახეთ ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ როცა კარგად შეერევა ერთმანეთს, მიიღეთ 100-100 გრამი დღეში სამჯერ ჭამის წინ.

მადის აღმდგენი საშუალება

დღეში სამჯერ ერთი ჩ/კ - ით მიიღეთ ალოეს ფოთლების წვენი ჭამის წინ. იგი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ჭამის შემდეგ კუჭში სიმძიმის შეგრძნებას.

– 250 გრამ აბზინდის მშრალ ფხვნილს და ერთ კგ თაფლს დავასხათ 2 ლ. 15-15%-იანი სპირტი ან არაყი.

ყოველდღე ავურიოთ და დავტოვოთ ბნელ ადგილზე 30 დღე. შემდეგ გავწუროთ დოლბანდის რამდენიმე ფენაში. ნაღები შევინახოთ ბნელ ადგილზე.

მიღების წესი:

50 მილიგრამი მივიღოთ დღეში სამჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, 3-4 კვირის განმავლობაში.

თირკმელში ანთებითი პროცესის დროს

2 ჩ/კოვზ ვაშლის ძმარს და ერთ ჭიქა წყლის ნარევის მიღებით უმჯობესდება თირკმლების მოქმედება.

– 400 გრამ ალოეს ფურცლები (ალოე უნდა იყოს 3-5 წლის) ჩავაწყოთ პოლიეთილენის პარკში და ვამყოფოთ მაცივარში 7 დღე. შემდეგ გავატაროთ ხორცსაკეპში, შევურიოთ 500 გრამი გაზაფხულის თაფლი და 0,7 ლიტრი ნატურალური ღვინო. ისინი მოვათავსოთ მინის ჭურჭელში და გავაჩეროთ ბნელ ადგილზე 5 დღის განმავლობაში.

მიღების წესი:

პირველი ხუთი დღის განმავლობაში 1 ჩ/კოვზი დღეში 3 ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

მკურნალობის კურსი 3-7 კვირაა.

ჩაიწერა ალექსანდრე მელიქიძემ 1978 წელს, სოფელ ტოლოშში

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია